

ჩვენი ზედამხედველის პოლიტიკამ ძლიერ გასჭრა...  
საკვირველი ეს არის, რომ სამხედველოება კარგათ იცნობს ამ ზედამხედველს, კარგათ იცის, რა შეწყობებაშიც არის იმისგან სასწავლებელი; მაგრამ, შიშისა და ხათრისა გამო, ერთი იმისთანა ვერაინ გამოჩნდა, რომელსაც დაეცვა საზოგადო ინტერესი და გამოეთქვა ორიოდ სიტყვა სასწავლებლის სასარგებლოთ.

მეორე კრება ამავე დებუტატებისა იყო ამ თებერვლის 15-სა. თუმცა კეთილ-გონიერება თხოულობს, რომ ამისთანა შემთხვევაში დებუტატებისთვის მიეცათ თავისუფალი ადგილი თავისუფალ მსჯელობისათვის, მაგრამ კიდევ ზედამხედველმა მიიღო დებუტატები თავის მომხრის (მასწავლებლის) ოთანში და, თავის თანადასწრებით, მისცა კრებას ნება მსჯელობისა. ადვილი წარმოსადგენი იყო, რითაც ვათავებოდა საქმე... რაღა ბევრი ვილაპარაკოთ: ეს კრებაც ვათავებოდა უნაყოფოდ, და სასწავლებელი დარჩა ისევ ორ წყალ შუა...  
მ. ა.

# სამართალი

## ანდრეევსკის ქალის საქმე

სხდომა მესამე  
1 მარტს

მოწმეების ჩვენების გაგრძელება.  
სასამართლოს თავის მჯდომარე, მოწამე მ. ნიკოვს: რა იცით თქვენ ამ საქმის გარემოებაზე?

ალექსანდრე მნიკოვი. მე, ივანე პოლტარაკი და ბესარიონ ლოლბერიძემ, ანდრეევსკის ქალისა და ბ. შარვაშიძეს თხოვნით, გავყავით ამათ შუა მამულები. როგორც ეტყობოდა, ორივე მხარეები კმაყოფიონი იყვნენ ჩვენის გაყოფით, რადგან ნინო ანდრეევსკისამ წინადადება მისცა თ. ბ. შარვაშიძეს, რომ, თუ გსურს, გავცვალოთ წილით ნარგუნები მამულები, მაგრამ შარვაშიძე არ დათანხმდა. ნინო ანდრეევსკისამ მთხოვა მე, რომ დროებით, სანამ მოდის დამარტული მამულის გამგებელი მომივიდეს, უშოვნო ვინმე მეც ურჩიე იმას იოხებს სულხანოვის დეკრად.

პროკურორი. ნინო ანდრეევსკის მოკვლის შემდეგ არ გინახავთ თქვენ იმის დედა?

ა. მნიკოვი. მას შემდეგ მხოლოდ ერთხელ შევხვდი ბარბარე ანდრეევსკისას ხაშურას სტანციაზე; მაგრამ ისეთნაირად არეულად ლაპარაკობდა, რომ ვერა ვაგიგე-რა.

ვეტრე ლევანოვი. (ა. მნიკოვის ბაჭი). (თავს-მჯდომარის კითხვაზე—თუ რა იცით ამ საქმის შესახებ?). წილის-ყრის დროს მე დავესწარი ბატონის სახლში. ბატონმა მიბრძანა, რომ პატარა ბიჭი მომეყვანა წილის ამოსაღებათ. მე მოვიყვანე და როცა მან ამოიღო წილის ქაღალდი და აჩვენა ყველას, თ. ბიორგი შარვაშიძემ მიატოვა სტაქნით ჩაი და ხმა-ამოუღებელად წავიდა. სოფიო ბეზირგანოვი ს. ა. (თავს-მჯდომარის კითხვაზე). ა—ნა თუმანოვისა მოვიდა ჩვენთან და მითხრა,

რომ დიდი უბედურება მოხდა შუაში, ნინო ანდრეევსკის ქალი დაეკრუა და მთხოვა, რომ ერთად წაესტოფო ერთი იმათსა. ჩემს იქ ყოფნის დროს მრეცხელმა მოიტანა თეთრეული, რომელზედაც ყოფილიყო სისხლის ლაქები. როგორც მახსოვს, ბარბარე ანდრეევსკისას არ უთქვამს, რომ იმის ქალი მოკლეს ან დააღრმავა.

მთე მია ზუევისა (მრეცხელი). მე ამ საქმის არა ვიცი-რა. ანდრეევსკის ცოლს და ქალს საცვალს ურეცხავდნ და უკანასკნელად რომ მომცეს, ქალის სარეცხი სისხლით გასერილი იყო.

ბესარიონ ლოლბერიძე. ამ საქმის შესახებ მე ვიცი შემდეგი: 23 ივლისს 1876 წელს მივიღე შუთაისში მთილისილამ ტელეგრამმა, რომელშიაც ეწერა, რომ ნინო ანდრეევსკისა ძალიან ავით არისო და გადაეცით ბ. შარვაშიძეს, რომ მოვიდესო. იმ წამსვე შარვაშიძესთან წავედი; გზაზე შევხვდა დ. ანხაბაძე, რომელსაც უთხარი შინაარსი. შარვაშიძესთან რომ მივედი, ეძინა. დიდხანს ვაღვიძე, და ბოლოს, როცა გამოიღვიძა და უჩვენე ტელეგრამმა, სთქვა, რომ ეს გარემოება აქედამ წასვლას დამიშლისო. მეორე დღესვე შარვაშიძე და ანხაბაძე მთილისში წამოვიდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ მეც ჩამოველ მთილისში და ვნახე შარვაშიძე, ნინო ანდრეევსკის ოაობაზე ამასთან ლაპარაკი არა მქონია. დ. ჩქოტუას არ მინახავს, რადგან ის ამ დროს დატუსაღებული იყო.

თავს-მჯდომარე დავით ჩქოტუას: იყავით თქვენ ანდრეევსკის მამულის

წარმადგენის, ანუ გამოხატვის ნიჭი არის ერთი უმთავრესი ნიჭიერებათაგანი ადამიანისა, უამისოთ არ იქნება არც პოეზია!...

— პოეზია რაღა არის?  
— პოეზია?... ძაცმა შესცოდა. ღმერთმა გამოავლო ის სამოთხილგან. მაგრამ ყოველად მოწყალეს იმას უნდოდა მოგონება მაინც დაეგლო კაცისათვის სანატრელი სამოთხის ცხოვრებაზე, რომ ამ მოტონებით ცოტათი მაინც ვასტკბილებოდა გზა ცხოვრებისა. და, აი, ბედნიერებით ღარიბს და მწუხარებით მდიდარს ცხოვრებაში გამოაქიქა ზეცილამ მოტაცებულმა ორმა სხივმა; მოისმა ორი ხმაურობა სამოთხის ცხოვრებისა! მართი ამ სხივთაგანი კაცმა დაიჭირა სიტყვებში და დაარქვა „პოეზია“; მეორე შეჭრა, შეჭობა დაწყობილი, თანხმა, გარმონიული ხმებით და დაარქვა იმას „მუსიკა“. პოეზია იპყრობს მთელს ქვეყანას; როგორც სარკეში, მხატავს ის ბუნების ყოველივე სისრულეს ნაკლულობას სულის მოძრაობას. იი გამოითქმის სიტყვებით ზომიერით, ხმოვანით; ფრთოვანი ჰაზრის მქონე სიტყვებით, გრძნობით გაშთბარი ჰაზრებით, კილმით გამოყვანილი და დაწყობილი სიტხობებით! და ეს ხმა ზეცისა აღელვებს სულსა და გულსა ვაურკვეველ, აუსნელ ფიქრებითა, მლაღავს მამუნი, აწყვეებს სი-

ხარულით, ხმაურობს ტკბილათ, როგორც ხმა შერიგებისა! პოეზია არის ჯაჭვი, რომელიც აწებებს; აერთებს ცას მიწასთან, სულს ხორცთან!... ძაცს, რომლის გულსაც ათბობს და ანათებს ეს წმინდა სხივი, უწოდებენ პოეტს. — მუსიკა ძე...

ი დადვა, დაიწყო ყველაფერი, აილო სტოლილამ საკრავი, მომართა სიმები, ჩამოჭრა იმას თრთები და აატირა ისინი სხვა და სხვა კილოზედ! თან დამღერა მშვენიერი ლექსი, რომელიც, მგონი, ამ ნაიჩი შინაარსისა იყო:

მე მინდა გიჩვენოთ ცხადათ,  
მართობა გქონდეთ ერთიო;  
ძმები ხართ და იყვნეთ ძმურათ,  
ბიყვარდეთ ერთმანერთიო!

პეთილმა მამამ შეჭკრიბა  
თავის ცული შვილებიო;  
შოფა-ქცევითა, ზნეობით,  
ხასიათ გარყენილებიო.

მოატანიო უფროს ძმას  
ცოცხი, შეკრული სხვილათო;  
— მინც ვასტკენს შუაზედ ამას,  
ი მიმიღია შვილათო!  
შველამ თავის ორნე სცადა  
ცოცხზედ სათითათათო;  
მაგრამ ვერ ჰქმნა, რაც ეწიდა,  
ის დარჩა უფნებელათო!

— მხლა ცოცხი დაარღვიეთ,  
ღარიგა შვილებიო,  
და ცალ-ცალკე დამტერიეთ  
იმის წვრილი წყვლებიო\*!


ძმებმა ცოცხის ღეროები  
სუო დაღწეს ერთ წამშიო;  
და იმისი ნამცეცები  
ბაურიეს ნაგავშიო!

— ამით მსურს ცხადათ გიჩვენო,  
შთხრა მამამ შეკლებსაო:  
ძმები ხართ და ძმურათ თქვენო  
ჰყვარობდეთ ერთმანეთსაო!

— თუ ხართ ერთად და თანხმობით  
თქვენ შეკავშირებილიო,  
ძნელათ თუ ვისმეს მტერობით  
იქნეთ დაჯანებულიო!

— მაგრამ რამწამ განცალკევდით,  
შველამ გლო ზურგს მათარბიო;  
ბიგდეს წახლ-ქვეშ და გაუტკბდით,  
როგორათაც ეს ცოცხიო!

— ამით მსურს გიჩვენო ცხადათ,  
რომ თქვენ ერთობა გქონდეთო;  
ძმები ხართ და იყვნეთ ძმურათ,  
შრთიერთი გიყვარდეთო!  
სიღნაღი, 22 თებერვალს. — მე —



გამგებელად, თუ არა?

დ. ჩქოტუა. მიყავი, სანამ მამული არ გაიყვეს. შემდეგ კი, თუმცა ნინო ანდრეევსკისამ მოხვდა, რომ მეკისრნა იმის მამულის გამგეობა, მაგრამ ვერ ვიკისრე, რადგან სხვა საქმეები მქონდა. თავს მჯდომარე ვაგზავნეთ თქვენ ბეს. ლოლობერიძის სახელობაზედ მუთაისმა ტელეგრაფმა?

დ. ჩქოტუა. ვაგზავნე იმავ საღამოს, როდესაც ეს უბედური შემთხვევა მოხდა.

თავს მჯდომარე, რატომ პირდაპირ არ მიწერეთ, რომ ნ. ანდრეევსკისა დაიღრჩვა?

დ. ჩქოტუა. იმიტომ, რომ ვიცოდი, მ. შარვაშიძე შეწუხდებოდა უცრათ რომ შეეტყო ეს ამბავი.

სტეფანე ავთანდილოვი. მე ვიცნობდი ანდრეევსკის ოჯახს მდესაში 1867 წლიდან. ნინო ანდრეევსკისა კვიანი, გონება-გახსნილი ქალი იყო. აქაც ხშირად დავიარებოდი იმათსა. ნინო ანდრეევსკისაგან ხშირად გამიგონია, რომ ამისთანა მღვრიე წყალში ტანის ბანა როგორ შეიძლება.

მსტატე ჰიაბეროვი (მსურავი-მეთევზე). მე და ჩემი ამხანაგი ბიჭი შილო შარაიასისავენ წავედით და ტენტი-შარაიასთან რომ მიველით, შილომ, რომელიც უკან ჩამორჩა, დამიძახა, რომ დამლოჩხალი ქალი არის აქაო. მე მივედი და ენახე, რომ წყალს მოჰქონდა ქალის გვამი, რომელიც იმწამსვე გამოვიტანეთ ნაპირზე. მე იქ დავდექი ყარაულად, ჩემი ამხანაგი კი ქალაქში წამოვიდა პატრონის შესატყობინებლად. მზაზე სხვა მეთევზეები ენახა; ეთქვა იმათთვის ეს ამბავი; იმათ ეთქვათ, რომ ზეერი თევზი გეყავს, ქალაქში მიედივართო და ჩვენ შევატყობინებთო, რასაც გვაჩუქებენ, სანახევროდ გავიყოთო.

პროკურორი. დალურჯებული ჰქონდა ტანი დამლოჩხალს?

მ. ჰიაბეროვი. არსად ჰქონია; მხოლოდ ერთი ხელი ჰქონდა დალურჯებული. ტანზედ ეცვა დაღლეჯილი ჰერანგი და იმის ამხანაგი.

შილო მენაბდი შეილმა და ისაკა შეილმა გამიგორეს თითქმის სიტყვა-სიტყვით ის, რაც მ. ჰიაბეროვმა სთქვა.

სხდომა გათავდა საღამოს 6 საათზე. (ვაგრძელება შემდეგში)

თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

მრეენის მადანზე, წინამძღვაროვის სახლებში ავთამყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დღის 8 საათიდან დღის 10 საათამდე.

მრ შ ა ბ ა თ ს; ექიმი მინკევიჩი—ხირურგიულ ავთამყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი—შინაგანი ავთამყოფობისათვის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი და მარკოვი—შინაგანი ავთამყოფობისათვის, მამამშვი—თვალის ექიმი.

მ თ შ ა ბ თ ს: ლისიცივი—შინაგანი ავთამყოფობისათვის, მთარჩიანიცი—ვენერიული ავთამყოფობისათვის,

ხ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი-შინაგანი ავთამყოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცივი და ასატუროვი—შინაგანი ავთამყოფობისათვის და ხირურგიულისათვის.

შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი და მარკოვი—შინაგანი ავთამყოფობისათვის, მთარჩიანიცი—ყურის და ხირურგიულ ავთამყოფობისათვის და მამამშვი—თვალის ავთამყოფობისათვის.

განცხადებანი

Желають арендовать нѣсколько десятковъ десятинь пахатной земли близъ Поти-Тифл. желѣзной дороги. Адресъ Куки: Реутовская улица № 39 (3-1)

სტუდენტს ჰსურს აქტიურად უროკები დაბალ კლასებში მოსწავლად. გალად.

აღრესის შეტყობა „დროების“ რედაქციაში შეიძლება.

სალაშური.

ანუ ლექსთა პრეზა.

გამოცემული ზ. ჰიჭინაძისი. შასი ორი შაშური.

თფილისში მ. ხელაძის. სტამბაში, და მუთაისში, ი. მესხთან.

აზრასუხის ჰიის თესლი (კვერცი) იტალიის მოღვმისა, სალი ისყიდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში (ალექსანდროვის ბაღში, უფ. მირსკის პირდაპირ).

შასი თითო მისხლისა მამსი შაშური მრთს კაცს 10—15 მისხალზე მეტი არ მიეყიდება.

გამოვიდა და ისყიდება

„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“

ქომეღია ალ. თუთავეისა ისყიდება: ქალაქში—ყველა წიგნის მალაზიებში და ალექს ჰიმშეროვთან, თელავს—იოსებ ძუზმანაშვილთან, შარელს—დავით მეროჩაშვილთან, ხაშურისა და ბეჟაბუბნის ზუჭტეში, სურამს—შაქარია არუწოვთან, მუთაისს—იაკობ მჰანეზოვთან და სე. სერვაძესთან შოთში—მლისბარ ბაბალოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თაქთაქოვთან, საქაშეთს—თ. ნიკ. ლიასამძესთან, მეჯვრისხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, ზორში—სტ. ზომოცვთან და თვითონ ავტორთან.

ისყიდება

შ. მართანოვის წიგნის მალაზიაში. მუშაპის ხარო. მდამიური ამბავი. ალ. სა. მესხიევისა. გამოცემული შაქარია ჰიჭინაძისაგან. შასი მრთი შაშური

Table with multiple columns: რპ. მზა, დილა, საღამ., II კ., III კ., ტელეგრაფი, მ. კაპ, ბირჟა, მან. კაპ, გაზანდა, მან. კაპ. Rows include various locations like თფილისი, მცხეთა, შორი, ხაშური, სურამი, შვირილა, რიონი, სამტრედია, ახ.-სენაკი, შოთი, ახ.-სენაკი, სამტრედია, რიონი, შვირილა, სურამი, ხაშური, შორი, მცხეთა, თფილისი.